ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ეხმიანებიან პანკისის ხეობაში საპოლიციო ძალის გამოყენებას

ხელმომწერი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოვთქვამთ პანკისის ხეობაში, ჰესების მშენებლობის გამო, შექმნილ კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებით და ხელისუფლებას მოვუწოდებთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მოსახლეობასთან დემონსტრაციული საპოლიციო ძალის გამოყენება და გამოიყვანოს ისინი პანკისის ხეობიდან.

ა.წ. 21 აპრილის დილას, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან პანკისის ხეობაში მობილიზებული იქნა დიდი მასშტაბის საპოლიციო ძალა, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების რაზმი, ხეობაში დაგეგმილი ჰესის Ḍ□□□□□□ 3 □ ჰესის მშენებლობის განახლების მიზნით.

ერთ წელზე მეტია პანკისის ხეობის მოსახლეობა აქტიურად აპროტესტებს პანკისის ხეობაში დაგეგმილი Ḍ□□□□□□ 3 □ და Ḍ□□□□□□□□□□□□□ 2 □ ჰესის მშენებლობას, რის

თაობაზეც სასამართლოშიც მიმდინარეობს დავა. ჰესების ნებართვების დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი აშკარად დაუსაბუთებელია და სათანადოდ არ არის შესწავლილი ჰესების მშენებლობისგან გარემოზე ზემოქმედების რისკები, მათ შორის, სასმელ წყალზე მისი ზეგავლენა. ხეობაში უკვე აშენებული ჰესების გამოცდილებიდან გამოდინარე, ადგილობრივები უთითებენ პატარა ხეობაში ჰესების კასკადის (მთლიანობაში ოთხი ჰესის) დამაზიანებელ გავლენას მათ უნიკალურ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და ხეობის მდგრადი ეკონომიკური განვითარების რესურსზე.

2019 წლის 21 აპრილს, სრულიად მოულოდნელად, ხადორი 3 ჰესის მშენებლობის განახლების საკითხს ადგილზე მოსახლეობა პროტესტით შეხვდა. პოლიციამ შეკრებილი მოსახლეობის მიმართ, რომელიც ჰესის მშენებლობას აპროტესტებდა, გამოიყენა საპოლიციო ძალა, ცრემლსადენი გაზის, რეზინის ტყვიებისა და ხელკეტების სახით. ინფორმაცია ვრცელდება, ასევე, პროტესტის მონაწილე მშვიდობიანი პირების დაშავების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სპეცრაზმის დახმარებით მშენებლობის პროცესის განახლება მოხდა ისე, რომ ხელისუფლებას სათანადოდ არ ქონდა ამოწურული ადგილობრივ თემთან მოლაპარაკების რესურსი. ბოლო კვირების მანძილზე, პანკისის ხეობაში მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლების ვიზიტის დროს ითქვა, რომ ხელისუფლება დაგეგმავდა ექსპერტების მონაწილეობით ამ საკითხის განხილვას. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ მისი საჯარო დაპირება არ შეასრულა.

შსს-ს განცხადების თანახმად, ჰესის მშენებლობის განახლებასთან დაკავშირებით, საპოლიციო ძალის გამოყვანა, ადგილზე უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, ეკონომიკის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის მინისტრმა, რომელიც სულ რამდენიმე დღეა დაინიშნა ამ პოზიციაზე, საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტად სწორედ ენერგეტიკის სექტორი გამოაცხადა. ნათია თურნავა 2013-2018 წლებში "საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე იყო, იგი იყო, ასევე, უმსხვილესი ქართული კერძო სამრეწველო ჯგუფის (GIG) მმართველი საბჭოს წევრი და საქართველოს საერთაშორისო ენერგოკორპორაციის აღმასრულებელი დირექტორი. მისი ბიოგრაფია აჩვენებს, რომ ის ბიზნეს და ენერგო ინტერესების ლობისტია და ნიშანდობლივია, რომ მინისტრის თანამდებობზე დანიშვნიდან პირველივე დღეებში სწორედ მისი გადაწყვეტილებით მოხდა პანკისის ხეობაში, საპოლიციო ძალის გამოყენებით, ჰესების მშენებლობის დაწყება.

ხაზგასასმელია, რომ საპოლიციო თუ სხვა სახის რეპრესიული ძალაუფლების გამოყენება ჰესებისა თუ სხვა გარემოსდაცვით საკითხებზე, ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის ჩასახშობად, არაერთხელ იქნა გამოყენებული ხელისუფლების მხრიდან, რაც კიდევ უფრო სისტემურს ხდის პრობლემას და სავარაუდოდ ხელისუფლებაზე ბიზნეს ლობირების მნიშვნელოვან ზეგავლენას წარმოაჩენს.

~~ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოვუწოდებთ:~~

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საპოლიციო ძალის გამოყენება პანკისის ხეობაში და გამოიყვანოს ხეობაში შეყვანილი დამატებითი ძალები;

- დაუყოვნებლივ გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტი ნათია თურნავა, რომელსაც აშკარა ინტერესთა კონფლიქტი აქვს ბიზნეს ინტერესებსა და სახელმწიფო ინტერესებს შორის და მისი დანიშვნიდან, პირველივე დღეებში, კრიზისი შექმნა პანკისის ხეობაში;

- საქართველოს პროკურატურამ - დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ძალაუფლების სავარაუდო გადამეტების გამოძიების მიზნით;

- საქართველოს პარლამენტი - დაინტერესდეს აღნიშნული თემით და გამოიყენოს საზედამხედველო მექანიზმები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების დაცვისთვის;

- **დონორი ორგანიზაციები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები -** დაინტერესდნენ მათი ფინანსური დახმარებით მიმდინარე ენერგეტიკული პროექტების სავალალო გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგებით, რომლებიც განხორციელდა და ხორციელდება ევროკავშირისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკების უგულებელყოფით.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

მწვანე ალტერნატივა